საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მსხალგორის ქედი

მსხალგორის ქედი, ქედი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, კახეთის კავკასიონის სამხრ. განშტოება. გადაჭიმულია ჩრდ. აღმ-იდან სამხრ.-დას-კენ და წარმოადგენს მდ-ების – ბაისუბნისა და კაბალის (ალაზნის მარცხ. შენაკადები) წყალგამყოფს. აგებულია იურული კირქვებით, მერგელებით, თიხებით. მისი ყველაზე მაღალი წერტილის სიმაღლეა ზ. დ. 2204 *მ*. ქედი წარმოადგენს ლაგოდეხის ნაკრძალის დას. საზღვარს. მისი კალთები შემოსილია მდიდარი და მრავალფეროვანი ტყით.